

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 31

ქ.თბილისი

2021 წლის 24 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 24 მარტს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა „საქართველოს რაგბის კლუბ გორი“-ს თავმჯდომარის ნიკა გოგინაშვილის წერილი, სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის ოქმი და მატჩის მთავარი მსაჯის გ. მშვენიერაძის განცხადება, რეგიონული ლიგის მატჩზე, ბორჯომის „ბორჯომი“-სა და გორის „გორი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ბორჯომის „ბორჯომი“ - თამაშის ოქმის არასწორად შევსება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.24, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართ # 1-ის 1.23 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბორჯომის „ბორჯომი“- დაჯარიმდეს 100(ასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.23 პუნქტი და კლუბ ბორჯომის „ბორჯომს“ რეგიონულ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/